არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები

2024

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია..... 3

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებსა და წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული ინციდენტები 4

არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები და მთავარი მიგნებები 6

ლინა დოლიძის სისხლის სამართლის საქმე 6
აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმე 7
ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმე 8
კახა ხაჩიძის სისხლის სამართლის საქმე 9

სავარაუდო პოლიტიკური მოტივები 2020 წლის არჩევნების დღეს დაკავებული პირების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებში 10

გაჭიანურებული მართლმსაჯულება..... 11

დასკვნა 14

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგს უწევს იმ საქმეებს, რომელთა განხილვა იწვევს სავარაუდო პოლიტიკური მოტივების ეჭვს. საქმისადმი პოლიტიკური მოტივების ეჭვებს განსაკუთრებით ამყარებს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების დროს პოლიტიკურად აქტიური პირებისადმი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

2020 წელი საქართველოში პოლიტიკურად აქტიური წელი იყო. „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის შედგა შეთანხმება, რომელიც, მათ შორის, საარჩევნო სისტემას უკავშირდებოდა.[1] შესაბამისად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არაერთი პოლიტიკოსის მიერ „გადამწყვეტ არჩევნებად” შეფასდა.

არჩევნების დღეს, 2020 წლის 31 ოქტომბერს, რამდენიმე ინციდენტი დაფიქსირდა და რამდენიმე მათგანთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. განსაკუთრებით საყურადღებო იყო შემთხვევები, რომელსაც მოჰყვა პოლიტიკურ პროცესებში ჩართული და ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი პირების - ლინა დოლიძის, აკაკი ხუსკივაძეს და აკაკი კობალაძის, ზვიად კუპრავასა და კახა ხაჩიძის დაკავება და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ბრალდებულთა პოლიტიკური შეხედულებების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ სისხლის სამართლის ამ საქმეებს პოლიტიკური მოტივი ჰქონდეს.

ვინაიდან დასახელებული პირების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა სწორედ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით საქმეების ფარგლებში დაიწყო, მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება მათ წინააღმდეგ მიმდინარე საქმეების სასამართლო მონიტორინგის შედეგების შესახებ, მით უფრო - 2024 წელს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისა და უშუალოდ წინასაარჩევნო გარემოზე დაკვირვების აუცილებლობის გათვალისწინებით.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მიზანია, გამოკვეთოს ლინა დოლიძის, აკაკი ხუსკივაძეს და აკაკი კობალაძის, ზვიად კუპრავასა და კახა ხაჩიძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის ძირითადი მიგნებები, მიმოიხილოს მათთან დაკავშირებული სავარაუდო პოლიტიკური მოტივები და გააანალიზოს შესაბამისი პროცესუალურ-სამართლებრივი ხარვეზები.

მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგი ხორციელდება ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის

.....

[1] იხ. ფასილიტატორების განცხადება საქართველოში პოლიტიკური დიალოგის შესახებ 2020 წლის 8 მარტის შეთანხმებაზე, https://bit.ly/4aniD8B [21.03.2024].

საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე - სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს ორი იურისტ-მონიტორი, რომლებმაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგის სწორად წარმართვისათვის, საწყის ეტაპზე, შემუშავდა სპეციალური კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამუშავებენ სასამართლო სხდომებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც იურისტი-ანალიტიკოსი აანალიზებს და შესაბამისი ანგარიშებისთვის იყენებს. სასამართლო სხდომის ანგარიშების გარდა, ანალიტიკურ დოკუმენტში გამოყენებულია სანდო და ვერიფიცირებულ ღია წყაროებში გავრცელებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია და მონიტორინგის ქვეშ არსებული საქმეების შესახებ გამოქვეყნებული სხვადასხვა პუბლიკაციები. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მონიტორინგის განმახორციელებელი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშები და მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის პრინციპებს. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებსა და წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული ინციდენტები

2020 წლის მარტიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებდა მონიტორინგს საქართველოში წინასაარჩევნო გარემოზე[2] და, ასევე, ჩართული იყო საარჩევნო ოლქებზე შესაძლო დარღვევების იდენტიფიცირების პროცესში უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების დღეს - 31 ოქტომბერს. ცენტრისა და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებით, COVID19-ით გამოწვეული პანდემიის კონტექსტში, „არჩევნების დღე, ტექნიკური ადმინისტრირების თვალსაზრისით, ძირითადად, კანონმდებლობის დაცვით წარიმართა".[3] თუმცა, წინასაარჩევნო

[2] იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრი, *2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი*, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/240/geo/ [22.02.2024].

[3] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), *2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში*, გვ. 5.

პერიოდში, აშკარა იყო პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა, ისევე როგორც ეკონომიკური გამოწვევები.[4] პოლარიზაცია შესამჩნევი იყო მედიაგარემოშიც.[5]

გარდა ამისა, „ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე, დამკვირვებლებზე, აქტივისტებზე და მედიასაშუალებების წარმომადგენლებზე განხორციელებული ზეწოლისა და მუქარის გახშირებული შემთხვევები“ წინასაარჩევნო გარემოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო.[6] ეუთოს (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიის დასკვნის თანახმად, არჩევნების დღეს გამოიკვეთა საარჩევნო უბნებზე პოლიტიკური პარტიის კოორდინატორებისა და შესაბამისი აქტივისტების მობილიზაცია, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ამომრჩევლებს და, მათი თანხმობის გარეშე, უღებდნენ ფოტოებს.[7] თავის მხრივ, ასეთი ქმედება ქმნიდა ამომრჩევლების დაშინებისა და მათზე ზეწოლის მცდელობის შთაბეჭდილებას. ეუთოს დამკვირვებლებმა, ასევე, დააფიქსირეს ძალადობის რამდენიმე შემთხვევა უშუალოდ არჩევნების დღეს.[8]

დამატებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის თანახმად, გამოიკვეთა „ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება [მათ შორის] ამომრჩევლის ნების გამოხატვის კონტროლს (მთელი დღის განმავლობაში უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე შეიმჩნეოდა პირთა კონცენტრაცია, რაც კენჭისყრის მიმდინარეობისას თვალთვალის გარემოს ქმნიდა და ხელს უშლიდა ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას)“.[9] დარღვევებს შორის იყო: საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების გადაადგილება, ფარულობის პრინციპის დარღვევა, მარკირების და ხმის მიცემის წესების დარღვევა და გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებული დარღვევები.[10] ასევე, აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი დაპირისპირების ფონი წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც არსებობდა - კერძოდ, შიდა ქართლში, სადაც თავს დაესხნენ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს და სავარაუდოდ, მათზე ზეწოლა ხორციელდებოდა სამართალდამცავების მხრიდანაც.[11] სავარაუდო ზეწოლის ფაქტები საჯარო მოხელეებზე დაფიქსირდა, ასევე, მმართველი პარტიის აგიტატორების მხრიდან.[12]

.....

[4] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Limited Election Observation Mission Georgia Parliamentary Elections, *31 October 2020: Interim Report (25 September – 10 October 2020)*, published: 16 October 2020, p. 3; available at: https://shorturl.at/KLM49 [22.02.2024].

[5] იქვე, გვ. 9.

[6] Transparency International, *2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება,* 29 ოქტომბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/biJM9 [22.02.2024].

[7] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Georgia Parliamentary Elections,* 31 October 2020, ODIHR Limited Election Observation Mission Final Report Warsaw, 5 March 2021, p. 28, available at: https://shorturl.at/adtKL [accessed 22.02.2024].

[8] იქვე.

[9] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შეფასება, 1 ნოემბერი 2020, 13:30, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/FGOS8 [25.02.2024].

[10] იქვე.

[11] დეტალურად, იხ.: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, *2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში*, 2020 წ. სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nvLY3 [25.03.2024]; იხ., ასევე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, *2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში*, 2020, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/cHVX4 [25.03.2024].

[12] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, *2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში*, 2020 წ. ოქტომბერი, გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rTWY2 [24.03.2024].

ამ და 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიდან გამომდინარე - 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში საკითხის აქტუალურობის გათვალისწინებით - ქვემოთ განხილული იქნება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ის საქმეები, რომლებიც 2020 წლის არჩვნების დღეს დაფიქსირებულ ინციდენტებს უკავშირდება.

არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები და მთავარი მიგნებები

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მიზნებისათვის, განხილული იქნება სისხლის სამართლის 4 საქმე: 1) **ლინა დოლიძის სისხლის სამართლის საქმე;** 2) **აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმე;** 3) **ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმე**; 4) **კახა ხაჩიძის სისხლის სამართლის საქმე**.

ხაზგასასმელია, რომ თითოეული საქმე უკავშირდება უშუალოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს. ეს პირები, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, აქტიურად იყვნენ ჩართული საარჩევნო პროცესებში და, შესაბამისად, მათ წინააღმდეგ აღძრული საქმეები, სავარაუდოდ, უკავშირდებოდა მათ პოლიტიკურ საქმიანობას.

ყურადსაღებია ისიც, რომ ზვიად კუპრავასა და კახა ხაჩიძეს ერთსა და იმავე ეპიზოდზე აქვთ ბრალი წარდგენილი; ზვიად კუპრავას საქმეში დაზარალებულის სტატუსით წარმოდგენილია კახა ხაჩიძე და პირიქით - ხაჩიძის საქმეზე დაზარალებული კუპრავაა. *ორივე საქმეზე ბრალდების მხარეს ერთი და იგივე პროკურორი წარმოადგენს.*

სასამართლო მონიტორინგის ეტაპზე გამოიკვეთა სხვადასხვა სახის გამოწვევა, რაც დაკავშირებულია როგორც განსახილველი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ეტაპთან, ისე სასამართლოში საქმის განხილვასთან. ყველა ასეთ მიგნებაზე ყურადღება გამახვილდება ინდივიდუალურად, საქმეების მიხედვით.

ლინა დოლიძის სისხლის სამართლის საქმე

საქართველოს პროკურატურა ლინა დოლიძეს ედავება კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობას ან ძალადობის მუქარის შესაძლო დანაშაულის ჩადენას.[13]

საქმის მასალების მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას, ლინა დოლიძე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა ქ. თბილისის 90–ე საარჩევნო უბანზე, რა დროსაც მან ფიზიკურად იძალადა

[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 162[1] მუხლის პირველი ნაწილი.

მამრობითი სქესის ორ პირზე, რომლებიც საარჩევნო უბანზე სპეციალური საშვის გარეშე იმყოფებოდნენ.[14]

ლინა დოლიძეს ბრალი ორი წლის შემდეგ წარუდგინეს. თავად ბრალდებულის განმარტებით, მას პოლიციიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ საქმე შეწყდებოდა. თუმცა, ადგილზე მისულს სხვა ვითარება დახვდა და რეალურად მას ბრალი წაუყენეს.[15] ლინა დოლიძემ განაცხადა: „ეს ბრალდება არის აბსურდული! როგორ უნდა მეცემა ერთი ან ორი კაცი?“[16]

საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა.

აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის სისხლის სამართლის საქმე

აკაკი ხუსკივაძესა და აკაკი კობალაძეს ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რაც გულისხმობს მოხელისათვის პირდაპირ მის სასარგებლოდ ფულის შეთავაზებას, რათა მან თანამდებობრივი უფლების განხორციელების და მოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ასევე - ჯგუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში; ასევე - ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ე.ი. მის ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ჩადენილი ჯგუფურად.

გამოძიების მტკიცებით,[17] 2020 წლის 6 ნოემბერს, ბრალდებულები ისნის N5 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – თედორე გობეჯიშვილს შეხვდნენ და შესთავაზეს, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სახელით 50 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, დემონსტრაციულად დაეტოვებინა თანამდებობა და პრესის თანდასწრებით, გაეკეთებინა განცხადება, თითქოსდა არჩევნები გაყალბდა. აღნიშნული განცხადების გაკეთების შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი სარგებლის მიღებას დაჰპირდნენ.

მას შემდეგ, რაც თედორე გობეჯიშვილისგან უარი მიიღეს, ბრალდებულები ისნის N5 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაემუქრნენ ანგარიშსწორებით და აიძულებდნენ დასთანხმებოდა შემოთავაზებულ წინადადებას.

ბრალდებულებთან შეხვედრის მეორე დღეს – 2020 წლის 7 ნოემბერს 1977 წელს დაბადებული თედორე გობეჯიშვილი საკუთარ საცხოვრებელ ბინაში გარდაიცვალა.

.....

[14] იხ. ხატია დეკანოიძე - პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოყენებით პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქეებზე ძალადობა და რეპრესია გრძელდება, ინტერპრესნიუსი, 10 ივნისი 2022, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/9kyn8v [25.02.2024].

[15] იქვე.

[16] იქვე.

[17] პოლიციამ თბილისში ქრთამის მიცემის, ჯგუფურად ჩადენილი იძულებისა და მუქარის ბრალდებით ორი პირი დააკავა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, 7 ნოემბერი 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/10yetx [28.02.2024].

დამატებით, ბრალდებულ აკაკი კობალაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, რაც გულისხმობს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვას.[18]

საქმის განხილვა დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზეა. ამ დროისათვის, სასამართლოში დაკითხულები არიან ბრალდებულები და მათი ოჯახის წევრები. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, სასამართლომ დასაკითხი მოწმეების ნაწილში მტკიცებულებები ცნო უდავოდ. ბრალდებულების სასამართლოში მიცემული განმარტების თანახმად, მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია არც მუქარას და არც ქრთამის შეთავაზებას. მათ ჰქონდათ საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა.

საქმეს არსებითად იხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილი. მოსამართლე გიორგი კერატიშვილის სააპელაციო სასამართლოში განმწესების შემდგომ, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეს. საქმის განმხილველი მოსამართლის ცვლილების შემდეგ, ახალმა მოსამართლემ ჰკითხა მხარეებს, რა ეტაპიდან სურდათ მათ საქმის განხილვის გაგრძელება. საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და გააგრძელა საქმის განხილვა დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით.

2023 წლის მაისის შემდგომ სხდომა რამდენჯერმე ჩაინიშნა და გადაიდო ბრალდების მხარის გამოუცხადებლობის გამო. ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმე

ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმე

თბილისის საკრებულოს და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ზვიად კუპრავას საქართველოს პროკურატურა ედავება საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარის სავარაუდო დანაშაულის ჩადენას.[19]

როგორც პროკურატურის საბრალდებო დასკვნაშია მითითებული,[20] ზვიად კუპრავამ 2020 წლის 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობის დროს, ერთ–ერთი საარჩევნო უბნის მიმდებარედ იძალადა მოქალაქეზე, რომელსაც მიადგა სხეულის დაზიანება და განიცადა ფიზიკური ტკივილი.

საქმეზე ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ზვიად კუპრავას ბრალი ორი წლის შემდეგ, 2022 წლის 27 ოქტომბერს წარუდგინეს.[21] აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე გამოძიება თავდაპირველად დაიწყო თავად ზვიად კუპრავას განცხადების საფუძველზე, მაგრამ ორი წლის შემდეგ იგივე საქმეზე პროკურატურამ მას ბრალი

.....

[18] იხ. Humanrights.ge, *ადამიანის უფლებათა ცენტრი აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმეს დააკვირდება,* 1 დეკემბერი 2020, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/2vgxv7 [25.02.2024].

[19] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 162[1] მუხლის პირველი ნაწილი.

[20] პროკურატურამ საარჩევნო უბანზე მომხდარი ძალადობის ფაქტზე 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, საქართველოს პროკურატურა, 27 ოქტომბერი, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43RVWHD [25.02.2024].

[21] იქვე.

წარუდგინა. სასამართლოში მიცემული ჩვენების თანახმად, ,,ის არ აღიარებს ბრალს და მიაჩნია, რომ ეს საქმე პოლიტიკური შინაარსის მატარებელია“.[22]

ამჟამად, საქმე სასამართლო განხილვის ეტაპზეა და მიმდინარეობს ბრალდების მტკიცებულებათა გამოკვლევა. საქმეში ბრალდების მხარემ წარმოადგინა მოწმე, რომელმაც სასამართლოში განმარტა, რომ ზვიად კუპრავა მის ნაცნობს არ უბრუნებდა წართმეულ სამკერდე ნიშანს. ამ ფაქტის შემსწრემ ზვიად კუპრავას სთხოვა მისი მეგობრისთვის დაებრუნებინა სამკერდე ნიშანი, რაზედაც კუპრავამ უარი უთხრა და ხელით მოიშორა. ეს დაინახა მოწმის მეუღლემ, რამაც გამოიწვია ზვიად კუპრავას და მოწმის მეუღლეს შორის შეხლა-შემოხლა და რა დროსაც, ზვიად კუპრავამ მოწმის მეუღლეს მკერდის არეში უბიძგა ხელი. შედეგად, ამ უკანასკნელს შეეკრა სუნთქვა და ჩაიკეცა. ადგილზე გამოცხადებულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების წარმომადგენლებს სავარაუდო დაზარალებულმა განუცხადა, რომ არ ჰქონდა რაიმე სახის დაზიანება და არ საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას.[23]

საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე, გიზო უბილავა.

კახა ხაჩიძის სისხლის სამართლის საქმე

კახა ხაჩიძის სისხლის სამართლის საქმე ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმესთან პირდაპირ კავშირშია. როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, ბრალდებული კახა ხაჩიძე 2020 წლის 31 ოქტომბერს იმყოფებოდა თბილისის მე–40 საარჩევნო უბანზე, რა დროსაც მან დაინახა ზვიად კუპრავა, რომელიც მის მეგობარს არ უბრუნებდა გამორთმეულ სამკერდე ნიშანს. კახა ხაჩიძის საქმეში ჩართვას სიტუაციის გამწვავება მოჰყვა - კახა ხაჩიძემ ზვიად კუპრავას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მოგვიანებით, კონფლიქტის განმუხტვის მიზნით, ზვიად კუპრავამ საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

ინციდენტიდან 2 წლის შემდეგ, ზვიად კუპრავას, ასევე - კახა ხაჩიძეს წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 162–ე პრიმა მუხლით,[24] რაც გულისხმობს კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარას.

ისევე როგორც ზვიად კუპრავას საქმეზე, კახა ხაჩიძის საქმეზეც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პროკურატურის პოზიცია. ორივე პიროვნება ერთსა და იმავე ეპიზოდზე წარმოადგენს ერთდროულად ბრალდებულს და ამავე დროს დაზარალებულსაც, ხოლო ორივე საქმეზე სახელმწიფო ბრალდებას ერთი და იგივე პროკურორი ახორციელებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ეს დიდ გამოწვევას წარმოადგენს და ამცირებს ბრალდების მხარის უნარს, შეინარჩუნოს

.....

[22] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმეზე: 31.01.2023.

[23] იქვე.

[24] პროკურატურამ საარჩევნო უბანზე მომხდარი ძალადობის ფაქტზე 2 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, საქართველოს პროკურატურა, 27 ოქტომბერი, 2022 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43RVWHD [08/04/2024].

პროკურორმა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის მაღალი სტანდარტი,[25] დაიცვას დაზარალებული მხარის ინტერესები, მოახდინოს ბრალის სწორი ფორმულირება და მტკიცებულებების შეგროვება, ვინაიდან ორივე საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის მოწმეები, იდენტურია. საქმე არსებითი განხილვის ეტაპზეა და მიმდინარეობს მოწმეების გამოკითხვა. საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართთლოს მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილი.

სავარაუდო პოლიტიკური მოტივები 2020 წლის არჩევნების დღეს დაკავებული პირების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებში

ოთხივე განსახილველ საქმეზე იკვეთება გარემოებები, რომლებიც სავარაუდო პოლიტიკური მოტივების ეჭვს განაპირობებს.

სავარაუდო პოლიტიკური მოტივების ეჭვს აჩენს ლინა დოლიძისთვის წარდგენილი ბრალი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლინა დოლიძეს ბრალად ედება საარჩევნო უბანზე *ორი მამაკაცის მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელება*. მოგვიანებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ იმჟამინდელი თავმჯდომარის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, „ახალგაზრდა ქალს ედავებიან ფიზიკურ ძალადობას სუს-ის მიერ მიგზავნილ სპორტსმენებზე“.[26] საქმეში დაზარალებულად ცნობილი პირების ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით, საეჭვოა, თუ რამდენად შეძლებდა ლინა დოლიძე მათზე ძალადობას.

იდენტური ბრალი აქვს წარდგენილი ზვიად კუპრავასაც: სახელმწიფო ბრალდება მას საარჩევნო უბანზე მოქალაქის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას ედავება. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის შესახებ შესაბამის ორგანოს თავად ზვიად კუპრავამ შეატყობინა და ამ შეტყობინების საფუძველზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ზვიად კუპრავა წარმოადგენს დაზარალებულსაც. ზვიად კუპრავას მიერ დაზარალებული კახა ხაჩიძე კი, ბრალდებულია ზვიად კუპრავას ფიზიკურ შეურაცხყოფაში.[27] ორივე საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო ცალ–ცალკე განიხილავს, მაგრამ ორივე საქმეზე ბრალდებას ერთი და იგივე პროკურორი წარმოადგენს. საქმის სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებს თავად ბრალდებული ზვიად კუპრავა.[28]

ხუსკივაძე/კობალაძის საქმის სავარაუდო პოლიტიკური მოტივების შესახებ კითხვებს, გარდა იმისა, რომ ისინი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, აჩენს

[25] მუხლი 9, საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 25 მაისის №234 ბრძანება.

[26] იხ. ხატია დეკანოიძე - პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოყენებით პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქეებზე ძალადობა და რეპრესია გრძელდება, ინტერპრესნიუსი, 10 ივნისი 2022, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/9kyn8v [25.02.2024].

[27] განცხადება - ზვიად კუპრავას მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დავიწყეთ - შსს, პუბლიკა, 31 ოქტომბერი 2020, https://bit.ly/49Zqeun [21.03.2024].

[28] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო მონიტორინგის ანგარიში ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის საქმეზე: 31.01.2023.

„ქართული ოცნების“ საგანგებო ბრიფინგი,[29] სადაც პარტიის წარმომადგენელმა გააჟღერა ინფორმაცია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალების დღეს „მას და მის ოჯახს ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ემუქრებოდნენ რეპრესიებით“.[30] ნიშანდობლივია, რომ ამ დროისთვის გამოძიებას ჯერ იდენტიფიცირებული არ ჰყავდა სავარაუდო ბრალდებულები.

გარდა ამისა, ოთხივე საქმეში ბრალდებულები პოლიტიკურად აქტიური პირები არიან, კერძოდ: ლინა დოლიძე სამოქალაქო აქტივისტი იყო, რომელიც აქტიურად აკრიტიკებდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების საქმიანობას.[31] არჩევნების დღეს კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” დამკვირვებლის საქმიანობას ახორციელებდა საარჩევნო უბანზე.[32] აკაკი ხუსკივაძე და აკაკი კობალაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იყვნენ, ზვიად კუპრავა კი „ნაციონალური მოძრაობა / ძალა ერთობაშია“-ს საარჩევნო სიის წევრი იყო. ამდენად, მათი პოლიტიკური ოპოზიციისადმი კუთვნილება შესაძლოა დამატებით მიუთითებდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლო პოლიტიკურ მოტივებზე.

გაჭიანურებული მართლმსაჯულება

მონიტორინგის შედეგად, ზემოთ განხილულ საქმეთაგან თითოეულში გამოვლინდა გაჭიანურებული მართლმსაჯულების პრობლემა. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების ამგვარი შეზღუდვა დამახასიათებელია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სხვა საქმეებისთვისაც, რისი მაგალითებიცაა: მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები, გიორგი უგულავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები. ამ საქმეებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სასამართლო მონიტორების ანგარიშებზე დაყრდნობით და სხვა ღია წყაროების გაანალიზებით, გამოიკვლია სამართლიანი სასამართლოს ამ კომპონენტის დარღვევის ფაქტები როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის ნაწილში.[33]

ლინა დოლიძის, ხუსკივაძე/კობალაძის, კახა ხაჩიძისა და ზვიად კუპრავას საქმეებშიც, მიუხედავად განსხვავებული სპეციფიკისა, სწორედ მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა. კერძოდ: ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ ოთხივე საქმეში მხარეებს შეზღუდული აქვთ წვდომა

[29] იხ. ქართული ოცნების განცხადება ისნის საოლქო კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ონ.ჯი, 07 ნოემბერი 2020, https://bit.ly/49Z6uan [21.03.2024].
[30] იქვე.
[31] იხ. ლინა დოლიძის განცხადება კახი კალაძის სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, ალია, 26 მარტი 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PvRkkz [21.03.2024].
[32] იხ. ზაალ უდუმაშვილის განცხადება - შტურმი იყო საარჩევნო უბნებზე იმისთვის, რომ ივანიშვილისთვის სასურველი შედეგი დამდგარიყო და ახლა ჩვენი დამკვირვებლების სამართლებრივი დევნა დაიწყეს, თვითმმართველობის პორტალი droa.ge, 03 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: https://droa.ge/?p=90169 [21.03.2024].
[33] ვრცლად, იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრი, *სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები,* 2023, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/512/geo/ [22.022024].

სწრაფ მართლმსაჯულებაზე. სისხლის სამართლის ოთხივე საქმე აღძრულია 2020 წლის 31 ოქტომბერს სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ საქმეზე ბრალის წარდგენიდან დღემდე 3 წელზე მეტია გასული, მათი განხილვა კვლავ მიმდინარეობს საქალაქო სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქმეების ამგვარი გაჭიანურება შესაძლოა სწორედ სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებთან იყოს დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთ ფუნდამენტურ კომპონენტებს, როგორიცაა, სწრაფი მართლმსაჯულება და მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის პროცესებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ტერმინი „სწრაფი“ აბსტრაქტულად არ განიმარტება. „სწრაფი მართლმსაჯულება“ გულისხმობს გონივრულ ვადას, რომელიც თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად განისაზღვრება საქმის კომპლექსურობის გათვალისწინებით.[34] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, განხილული საქმეების ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლოა 3 წელიწადზე მეტი ხნით გაჭიანურებულიყო.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე მართლმსაჯულების გაჭიანურება, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა უკავშირდებოდეს საქმის განმხილველი მოსამართლის შეცვლას და ახალი მოსამართლის დანიშვნას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სასამართლომ საქმე უცვლელი შემადგენლობით უნდა განიხილოს.[35] თუმცა, თუკი რომელიმე მოსამართლე, რაიმე მიზეზის გამო, ვერ შეძლებს სხდომაში მონაწილეობას, იგი უნდა შეცვალოს იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლემ, რა დროსაც საქმის განხილვა ხელახლა იწყება.[36]

სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის გარანტია განაპირობებს სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს ელემენტებს: საქმის ზეპირი განხილვის და მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას.[37] ამ პრინციპების გამოძახილია მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში საქმის თავიდან დაწყების კანონისმიერი მოთხოვნა.

ეროვნული კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს სათადარიგო მოსამართლის დანიშვნის შესაძლებლობას, რომელიც ცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გასულ მოსამართლეს და საქმის განხილვა გრძელდება.[38] მიუხედავად ამისა, სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩანაწერი, ფაქტობრივად, უმოქმედოა და არ ხდება მისი გამოყენება ისეთ

[34] იხ. Council of Europe, *Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights: Right to Liberty and Security* (updated on 31 August 2022), p. 50.

[35] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი.

[36] იქვე.

[37] სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გულაბერიძე და ბადრი შუშანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ავტორი: საქართველოს სახალხო დამცველი, 3 დეკემბერი, 2018 წ.

[38] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლი.

შემთხვევებში, როდესაც საჭირო არ არის ახალი მოსამართლის მიერ საქმის ხელახლა განხილვის დაწყება.[39]

სათადარიგო მოსამართლეები არც ისეთ საქმეებზე ინიშნებიან, რომელთა კომპლექსურობაც განჭვრეტადია. მათ შორის მოიაზრება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ ახალი მოსამართლეები დაინიშნნენ მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავას (ე.წ. 7 ნოემბრის) საქმეების განხილვისას; ასევე - ელგუჯა ცომაიას, გიორგი ნარიმანიძის, ზურაბ და შალვა წოწორიების საქმეზე; აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის საქმეზე. ყველა დასახელებული საქმის განხილვისას შეიცვალა მოსამართლე, რაც კანონმდებლობის მიხედვით, საქმის ხელახალი დაწყების საფუძველია. დასახელებული საქმეებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ე.წ. 7 ნოემბრის საქმეზე, დაიწყო ხელახალი განხილვა.

საქართველოს სახალხო დამცველი 2017 წლის ანგარიშში[40] მიუთითებს საერთო სასამართლოების არასწორ პრაქტიკაზე სასამართლო შემადგენლობის უცვლელობის კანონისმიერი მოთხოვნის დარღვევაზე. კერძოდ, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წელს 73 საქმეზე, სადაც არსებითი განხილვის მოსამართლე შეიცვალა, მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი მხოლოდ 16 შემთხვევაში იქნა დაცული.[41] ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა შენიშნეს, რომ სასამართლო შემადგენლობის შეცვლის შემთხვევაში, „საქმის ხელახალი განხილვა“, როგორც წესი, შემოიფარგლება მხოლოდ მოწმეთა ხელახალი დაკითხვით. სხვა მტკიცებულებების, როგორიც არის - ვიდეო, ნივთიერი და დოკუმენტური მტკიცებულებები, ხელახალი გამოკვლევა აღარ ხდება.

აღნიშნული მიგნება საინტერესოა მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის პრინციპთან მიმართებით. უშუალობის პრინციპი სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაში მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომლის საშუალებით სასამართლოს დაკვირვებებს მოწმის ქცევისა და სანდოობის შესახებ, შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს ბრალდებულისთვის.[42] უშუალობის პრინციპის შესაბამისად, გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე უნდა მიიღონ მოსამართლეებმა, რომლებიც ესწრებოდნენ სხდომებსა და მტკიცებულებების შეგროვების პროცესს სრულად.[43]

წინამდებარე ანალიტიკურ დოკუმენტში განხილულ საქმეთაგან ერთ-ერთში შეიცვალა საქმის განმხილველი მოსამართლე, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის მიუხედავად, საქმის განხილვა გაგრძელდა. კერძოდ, აკაკი

.....

[39] ადამიანის უფლებათა ცენტრი, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობის მონიტორინგი, 2018, გვ. 33, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rAFU7 [25.02.2024].

[40] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017.

[41] იქვე, 106.

[42] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ“, მითითებით - Beraru v. Romania, 2014 წლის 18 მარტი; Cutean v. Romania, 2014 წლის 2 დეკემბერი.

[43] იქვე.

ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის საქმეში, ნაცვლად იმისა, რომ ახალი მოსამართლის დანიშვნის შემდეგ საქმის განხილვა, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხელახლა დაწყებულიყო, მოსამართლემ მხარეებს მისცა შესაძლებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მითითებით, გაეკეთებინათ არჩევანი საქმის განხილვის ხელახლა დაწყებასა და პროცესის გაგრძელებას შორის. ამ საქმეში, ბრალდებულების ადვოკატის განცხადებით, მას ჰქონდა შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, თავიდან გამოეკვლია მტკიცებულებები, ხოლო პროცესის გაგრძელება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება და საერთო სასამართლოების პრაქტიკა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამასთან, თავად სასამართლო პრაქტიკაც არაერთგვაროვანია[44] - ზოგ შემთხვევაში საქმის განხილვა იწყება ხელახლა, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, გრძელდება. მსგავსი არაერთგვაროვანი პრაქტიკა შესაძლოა, გამოყენებული იქნას პროცესის გაჭიანურების ინსტრუმენტადაც, ან აღქმული იყოს ასეთად, განსაკუთრებით - იმ საქმეებში, სადაც სავარაუდო პოლიტიკური მოტივები იკვეთება.

მიუხედავად ამისა, როგორც გაჭიანურებული მართლმსაჯულების, ისე უშუალობის პრინციპთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასარიდებლად, აუცილებელია სასამართლოს თავმჯდომარემ საქმის არსებითი განხილვის დასაწყისშივე უზრუნველყოს სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა - მით უმეტეს, კომპლექსური და მრავალტომიანი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე, რა დროსაც მან თვალი უნდა ადევნოს საქმის განხილვის ყველა ეტაპს[45] და, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს იმ მოსამართლის ჩანაცვლება, რომელიც ვეღარ აგრძელებს საქმის განხილვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლეთა შეცვლა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას როგორც საქმის ხელოვნურად გაჭიანურების ინსტრუმენტი.

დასკვნა

ისევე, როგორც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, 2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნები შესაძლოა ქვეყნის პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრისთვის გარდამტეხი იყოს. შესაბამისად, საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მობილიზება არსებული და მოსალოდნელი ხარვეზების აღმოსაჩენად და შესაბამისი ზომების მიღება მათი პრევენციისთვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ამჟამად, არჩევნების დღეს დაკავებულ პირთა წინააღმდეგ მიმდინარე ოთხ სისხლის სამართლის საქმეს აკვირდება სასამართლოში, რომელთაგანაც, სავარაუდოდ, თითოეულში იკვეთება პოლიტიკური

[44] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017, 106.

[45] სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი გულაბერიძე და ბადრი შუშანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ავტორი: საქართველოს სახალხო დამცველი, 3 დეკემბერი, 2018 წ.

მოტივები. მოსალოდნელია, რომ სავარაუდო პოლიტიკური მოტივებით აღძრული სისხლის სამართლის, თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები კვლავ იჩენს თავს 2024 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში.

არჩევნებთან დაკავშირებულ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, რომელთა შორისაცაა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ ბრალის დასადასტურებლად საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობა და სასამართლო პროცესების გაჭიანურება, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას. მართლმსაჯულების გაჭიანურებით სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ ამ საქმეებში ირღვევა ბრალდებულების უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე. ასევე, ორ საქმეში [კუპრავას და ხაჩიძის საქმეები], რომელიც ერთსა და იმავე ეპიზოდს ეხება, სახელმწიფო ბრალდებას ახორციელებს ერთი და იგივე პროკურორი, რაც ქმნის რისკს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მისი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა.